

პაატა ბუხრაშვილი

ქართულ-სომხური ურთიერთობების გააზრებისათვის (მასალა კონსპექტისათვის)

ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ამიერკავკასიის ცივილიზაციის უძველესი წარმომადგენლები – ქართველები და სომხები. ამ ერების მოწინავე წარმომადგენლებს ოდიდგან კარგად ესმოდათ ურთიერთის ფასი და ყოველნაირად ცდილობდნენ ცხოვრებით ნაკარნახევი მრავალმხრივი კავშირების განმტკიცებას. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ქართულმა ისტორიოგრაფიამ თეორიულად დაამუშავა კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობის თეორია და ამ საკითხთა ორიგინალური გადაწყვეტაც მოგვცა ლეონტი მროველის ცნობილი თეზის სახით. ეს მოვლენა ჰქონდა მხედველობაში კორნელი კეკელიძეს, როდესაც აღნიშნავდა, რომ “ამიერკავკასიის ხალხთა მშობის იდეა, განსაკუთრებით კი ქართველებისა და სომხებისა, პროგრესული იდეა იყო, რომელიც ამ ხალხების მთელ შემდგომ ისტორიაში უაღრესად კეთილისმყოფელ როლს თამაშობდა” [1, 107].

საქართველოსა და სომხეთის წარსულის ურთიერთკავშირში შესწავლის აუცილებლობა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღინიშნა გამოჩენილი ქართველოლოგის მარი ბროსეს მიერ. საქართველოს ისტორიის დოკუმენტური ბაზის გასამდიდრებლად XIX ს-ის 60-იანი წლებიდან მან ხელი მიჰყო სომხური წყაროების შესწავლას, თარგმნა და იმ დროისათვის შესანიშნავად გამოსცა 12 სომხური წყარო, საფუძვლიანად შეისწავლა ძველი სომხური ლიტერატურა, სომხური მატერიალური კულტურის ძეგლები, სომხური ნუმისმატიკა, სფრაგისტიკა და სხვა, რომელთაც შემდგომში საგანგებო გამოკვლევები უძღვნა. საერთოდ არმენოლოგიური პრობლემების კვლევას მან თავის სიცოცხლის ბოლო ორი ათწლეული დაუთმო. ასეთმა შემზადებამ მას საშუალება მისცა ქართველ-სომეხთა ისტორიული ურთიერთობების სიღრმეებში ჩაეხედა, რომელთა გასაშუქებლადაც თავის ნარკვევებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეზობელი ერების შეხვედრის რაიონში – ახპატ-სანაინისა და მის მიმდგომ მხარეებში თავმოყრილი მასალის შესწავლა-გაანალიზებას. ასე რომ, მომავალი თაობებისათვის, აკად. მ. ბროსემ, ფაქტიურად პირველმა სცადა სამეცნიერო დონეზე ქართველ-სომეხთა ურთიერთობების შესწავლისთვის საფუძვლის ჩაყრას.

საქართველოსა და სომხეთის წარსულის ურთიერთკავშირში შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აკად. ნ. მარიც.

მისი გამოკვლევები უმთავრესად ეხებოდა კონკრეტულად წყაროთმცოდნეობის საკითხებს. მართალია ნ. მარს ქართველ-სომეხთა ისტორიულ ურთიერთობებზე საგანგებო ნაშრომი არ შეუქმნია, მაგრამ მის მრავალრიცხოვან ფილოლოგიურსა და ისტორიული ხასიათის გამოკვლევებში მოცემულია მთელი რიგი ღრმა მეცნიერული დაკვირვებები და ცალკეული დასკვნები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა.

ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ურთიერთობების ცალკეული საკითხების შესწავლას ყურადღებას უთმობდა დიდი ივ. ჯავახიშვილიც. იგი სომხეთის ისტორიას უმთავრესად განიხილავდა, როგორც თვით საქართველოს წარსულის

შესწავლის ერთ-ერთ სერიოზულ საშუალებას, რისთვისაც გულმოდგინედ იკვლევდა ძველი და შუა საუკუნეების სომხეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას, საისტორიო მწერლობას, წყაროთმცოდნეობის საკითხებს, პალეოგრაფიას, ეპიგრაფიკას, ისტორიულ გეოგრაფიას და სხვა.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლისას ივ. ჯავახიშვილმა შეამჩნია, რომ სომხეთში გავრცელებული სახვნელი იარაღების უმრავლესობა ქართული წარმოშობისა ან ქართული გზით არის სომხეთში შესული, განსაკუთრებით გაუმჯობესებული სახვნელები. ასევე აღნიშნავს ვაზის ზოგიერთი ჯიშის ქართული გარემოდან შექრა-გავრცელებას სომხეთში. სათანადო მასალით მეცნიერი არა მარტო ადასტურებს სამეურნეო თანამშრომლობის ფაქტს მეზობლებს შორის, არამედ კარგად უჩვენებს ამ თანამშრომლობის ხასიათსაც – “ძველი საქართველოს მიწათმოქმედების მაღალხარისხოვანი კულტურის გავლენას მეზობელთა მეურნეობის დარგებზე.”

ივ. ჯავახიშვილმა, პირველმა, ქართველ მეცნიერთა შორის შესძლო საფუძვლიანი შეფასება ქართველი და სომეხი ერების ისტორიაში არსებული მრავალი რთული და კარდინალური საკითხისა. მისი დასკვნების მიხედვით ქართველთა და სომეხთა^A სარწმუნოებრივი ერთობისა თუ განხეთქილების საკითხი არსებითად იმაზე იყო დამოკიდებული აღმოსავლეთის – სპარსეთის საეკლესიო ტრადიციებს და მოძღვრებას მიმხრობოდა საქართველო თუ დასავლეთისას – ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობას. პოლიტიკური ორიენტაციის გვერდით, შედარებით მეორეხარისხოვნად გამოიყურებოდნენ კონფლიქტის დოგმატური და როვნული მომენტები [2, 355].

აღსანიშნავია გამოთქმული მოსაზრება IX-Xსს. ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლის საერთოკავკასიურ მნიშვნელობაზე. ამ ბრძოლაში სომეხი მთავრების ჩართვასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა “თუ აქამდე ერთმანეთს მხოლოდ ქართველი მთავრები ეცილებოდნენ, ამიერიდან სომეხთა მთავრის ჩართვამ ბრძოლის საზღვრები და ასპარეზი გააფართოვა. თუ წინათ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელ ქართველ მთავარს დარჩებოდა საქართველოს მეთაურობა, ამიერიდან ბრძოლას უნდა გამოერკვია, ვის ჩაუვარდებოდა ხელში საქართველოს და სომხეთის, ანუ მთელი კავკასიის მეთაურობა. ქართლი ქვეყნის შუაგული იყო და თითოეული მთავრის მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი მას შერჩენოდა [3, 48].

XIII ს.-ის მეორე მეოთხედიდან, როცა ამიერკავკასია მომთაბარეთა პერმანენტული შემოსევების ობიექტი ხდება, საფუძველი ეყრება ქართველ-სომეხთა ურთიერთობის თვისობრივად ახალ ეტაპს, რომელიც განსაკუთრებით თავს იჩენს XVI ს.-დან. საქართველოს მოწყვეტილი და მტრულ გარემოცვაში მოქცეული სომხეთი დამპყრობთა სხვადასხვა გაერთიანებათა ნაწილი ხდება და მისი საზოგადოებრივი განვითარებაც უცხო მოძალადეთა დამახასიათებელ ყალიბში ჯდება, რაც უაღრესად ამწელებს საქართველოსთან ოდინდელი კავშირების შენარჩუნებას. მაგრამ ამასთანავე შექმნილი ვითარება კიდევ უფრო აშკარას ხდის ასეთი კავშირების აუცილებლობას სომეხთა ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ. შეცვლილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად იქმნება ურთიერთობის ახალი ფორმები, რომლებიც დროთა განმავლობაში სულ უფრო დაჟინებით ვითარდებიან ქართული სახელმწიფოს ინტერესებთან კავშირში. განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველთა მოთავეობა სავსებით კანონზომიერი ხდება და თუნდაც ეს ხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ პერიოდისათვის ამიერკავკასიაში ერთადერთი საქართველო ინარჩუნებს თავის სახელმწიფოებრიობას. ეს ობიექტური პირობები უმთავრესად განსაზღვრავენ

ქართველი და სომეხი ერების ისტორიული ურთიერთობის ხასიათს მოცემულ პერიოდში.

აღიარებულია, რომ გარემო ბუნებრივ პირობებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ საზოგადოების საერთო განვითარების კუთხით. ამ მხრივ მეტად საყურადღებო დაკვირვება აქვს ჩატარებული ქართველი და სომეხი ერების ისტორიული განვითარების სპეციფიკაზე ნიკო ბერძენიშვილს. იგი აღნიშნავს, რომ ხელსაყრელი სამეურნეო პირობების გამო “ისევე როგორც არარატის ველი შეიქმნა სომეხი ერის ჩამოყალიბების საფუძველი, ასევე ქართველი ერის ჩამოყალიბებას საფუძველი, ასევე ქართველი ერის ჩამოყალიბებას საფუძველი დაუდო ჯერ ქვემო ქართლმა, შემდეგ მცხეთამ და ზენა სოფელმა (ქვემო ქართლთან ერთად). ისევე როგორც აირარატში შექმნილმა სომეხმა ხალხმა გაითქვიფა, გაისომხა არაერთი არასომხური ტომი, ასევე ქართის ტომმა გაითქვიფა და გააქართა არაერთი არაქართი ტომი [4, 249-50].

ქართული და სომხური ფეოდალური ურთიერთობის შედარებისას პირველ რიგში უნდა გავვცნოთ გეოგრაფიული გარემოსა და ბუნებრივი პირობების თავისებურებებს, რომელთა ზეგავლენითაც მიმდინარეობდა ამ ერების სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრება.

საქართველო და სომხეთი მთაგორიანი ქვეყნებია. რელიეფის გარეგანი მსგავსების მიუხედავად, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, რასაც შეუძლებელია, განსაკუთრებით სამეურნეო განვითარების ეტაპზე, თავისი კვალი არ დაემჩნიას ამ მეზობელი ქვეყნების ცხოვრებაზე. პირველი თვალსაჩინო სხვაობა შეინიშნება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. სომხეთის მთელი ტერიტორიის 90% ზღვის დონიდან 1000მ-ზე მაღლა მდებარეობს, მაშინ როდესაც საქართველოს ტერიტორიის 50%-მდეა მოქცეული ამ ზონალობაში. ამის გამო სახნავი მიწები სომხეთში არარატის ველის გამოკლებით, გაცილებით უფრო მაღლა მდებარეობს ვიდრე საქართველოში.

სამეურნეო თვალსაზრისით კიდევ უფრო თვალშისაცემია სხვაობა კლიმატური პირობებისა. საქართველოსათვის ძირითადად ზომიერი ჰავაა დამახასიათებელი, სომხეთში კი მკაცრი, კონტინენტური ჰავაა გაბატონებული. ძალზე ცხელი ზაფხულითა და ცივი ზამთრით გამოირჩევა სომხეთის ცენტრალური ნაწილი – სევანის ტაფობი, შირაქისა და აპარანის პლატოები. საქართველოში ჰავა ურწყავი მიწათმოქმედების საშუალებას იძლევა, სომხეთში კი ძლიერი გვალვიანი ჰავის გამო ზღვის დონიდან 1500მ-მდე ურწყავი მიწათმოქმედება საერთოდ შეუძლებელია. საქართველოსთან შედარებით, სომხეთში ხელოვნური მორწყვის საირიგაციო ნაგებობების გაშენებას კიდევ ერთი დამატებითი სიძნელე ეღობება – ჰიდროგრაფიული ქსელის თავისებურება. მდინარეები აქ უმეტესწილად ღრმა ხეობებში მოედინება, რის გამოც მათი ნაპირებისა და ახლომდებარე მიწების მოსარწყავად საჭირო ხდებოდა უამრავი დიდი და მცირე ზომის არხის გაყვანა თითქმის მდინარეთა სათავეებიდან. ამასთანავე, სომხეთის ყველა მდინარისათვის დამახასიათებელი სელური ნაკადები დიდ ზიანს აყენებდნენ სოფლის მეურნეობას. ამიტომ, საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთში სოფლის მეურნეობის სპეციფიკის განმსაზღვრელი ძირითადი მომენტი მიწათმოქმედების ხელოვნურ მორწყვაზე დამოკიდებულება იყო. ძალზე მშრალი ჰავის გამო მიწათმოქმედება აქ თავიდანვე საირიგაციო სისტემებს დაუკავშირდა. ამ თვისებით სომხეთი აღმოსავლეთის ქვეყნებს ემსგავსებოდა, სადაც მიწათმოქმედების უმთავრესი პირობა ხელოვნური მორწყვა იყო.

გასათვალისწინებელია აღნიშნული სამეურნეო სისტემისათვის დამახასიათებელი ღრმა სპეციფიკა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელოვნური მორწყვა, როგორც წესი ყოველთვის დიდ სიძნელეებს უქმნიდა მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნასა და განვითარებას. ამდენად, თუ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციები უმთავრესად სარწყავი მიწათმოქმედებით იყვნენ განპირობებულნი, უკვე მოგვიანო პერიოდში იგივე სარწყავი მიწათმოქმედება იმავე რეგიონში სოციალური ჩამორჩენის მიზეზი ხდება. მსხვილი დესპოტური სახელმწიფოები, რომლებიც ასე აუცილებელნი იყვნენ მორწყვის რეგულირებისათვის, ყოველნაირად ახშობდნენ კერძო ინიციატივას და ზღუდავდნენ ფართო მასშტაბებით კერძო საკუთრების განვითარებას.

სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველოს ბუნებრივი პირობები მიწათმოქმედების განვითარებას თემური ურთიერთობის მარწყხებით მაინცდამაინც ვერ ბოჭავდნენ. საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედების გვერდით ფართო გავრცელება ჰქონდა ურწყავ მიწათმოქმედებასაც, რაც თავის მხრივ გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა საზოგადოების განვითარების მიმართულებაზე. ურწყავი მიწათმოქმედება არ მოითხოვს მოზრდილი კოლექტივის შრომას, რის გამოც თემურ ორგანიზაციას აქ მკვიდრი საფუძველი არ გააჩნია და მამასადამე არც კერძო საკუთრების განვითარების შემაფრხებელი პირობებია იმდენად ძლიერი. სამაგიეროდ იგი უფრო რთულ აგროტექნიკურ ხერხებს მოითხოვს, ვიდრე სარწყავი მიწათმოქმედებისთვისაა საჭირო და ამდენად საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს (ღრმა ხვნა, სელექციის განვითარება, მიწის ხელოვნური განაყოფიერება და სხვ.)

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, დიდი მდინარეებით მორწყვა, მეფეები რომ აწარმოებდნენ მხოლოდ, იმით კი არ არის საინტერესო, რომ ასეთი მორწყვა მონის შრომას გულისხმობს, არამედ იმით, თუ როგორი იყო მისი ეფექტი ქვეყნის შემდგომ განვითარებაში. ამან როგორც ცნობილია, საქართველოში აღმოსავლური მონობა და დესპოტია არ მოგვცა. ადრინდელმა ურთიერთობამ აქ ფეოდალიზმი, მიწაზე კერძო საკუთრება განავითარა. ხევმა პირველობა სოციალური თვალსაზრისით ველს არ დაუთმო, – ეს იყო საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის თავისებურება [4, 163-164]. საქართველოსა და სომხეთში განსხვავებული სამეურნეო პირობები იყო, რის გამოც საზოგადოებრივ განვითარებას ამ ქვეყნებში განსხვავებული, მეურნეობის თავისებურებათა შესაფერისი მიმართულება ჰქონდა.

სომხეთში უმაღლესი ხელისუფლების ხასიათის შესახებ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება არსებობს. ერთის თანახმად ფეოდალიზმს სომხეთში აღმოსავლური ანუ აზიური ფორმა ჰქონდა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მიწის კერძო და კოლექტიური მფლობელობა და არა კერძო საკუთრება მიწაზე. მეფის სახით საკუთრების უფლება ვრცელდებოდა სახელმწიფოზე. თვითმპყრობელი და სუვერენული მონარქი მთელი სახელმწიფო მიწების განმგებლად ითვლებოდა. ამ თვალსაზრისს ჩვეულებრივად უპირისპირებენ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სომხური ფეოდალიზმი ძირითადად ემთხვეოდა დასავლურ-ევროპულ ფეოდალიზმს.

საზოგადოდ, სომხეთის ბუნებრივ-კლიმატური გარემო აღმოსავლეთის მსგავს სამეურნეო პირობებს ქმნიდა, რის გამოც სავსებით მოსალოდნელია აქაც აღმოსავლური ტიპის ან მასთან ახლომდგომი მიწის საკუთრების ფორმების არსებობა.

ადრეფეოდალურ და განვითარებული სოციალიზმის ხანაშიც სომხეთში მთელი მიწები სახელმწიფოს კუთვნილებად ითვლებოდა, რომლის ჩამორთმევის და გადაცემის უფლებაც მეფეს ჰქონდა. რა ნომინალურიც არ უნდა ყოფილიყო ეს უფლება, იგი მაინც გარკვეულწილად ზღუდავდა სამემამულეო საკუთრების შეარებით მეტი

ხვედრითი წილისა და სათემო მიწათმფლობელობის სიძლიერის გამო. შესაბამისად, კერძო საკუთრების განვითარების პირობები სომხეთში უფრო მეტად შეეფარდება აღმოსავლეთის ფეოდალური ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ვითარებას, ვიდრე ევროპული ქვეყნებისა.

სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ პერიოდის საქართველოში. აქ, ბუნებრივ პირობებში ჩასახული და განვითარებული ინტენსიური სოფლის მეურნეობა თავისი ხასიათით, სომხეთთან შედარებით უფრო ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა მიწაზე ინდივიდუალური საკუთრების განვითარებას. სარწყავი სისტემების მოწყობისა და განახლების სიიოლე, აგრეთვე ურწყავი მიწათმოქმედების ფართოდ გავრცელება წარმოების პროცესის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას იძლეოდა და აუცილებელი არ იყო ყველგან მეურნეობის საწარმოებლად კოლექტიური ფორმების გამოყენება. ალბათ, ამიტომაც არის, რომ საქართველოში ძალზე ადრე ვითარდება ინტენსიური მეურნეობის ისეთი დარგები (მებაღეობა და მევენახეობა), რომლებიც ვერ ურიგდებიან წარმოების კოლექტიურ წესს და კერძო ინიციატივას ემყარებიან. წარმოების წესის ინდივიდუალიზაცია და მეურნეობის წარმოების კოლექტიური ფორმების შედარებით მცირე ხვედრითი წილი, რაც უმეტესწილად საქართველოს ბუნებრივი პირობებით იყო განპირობებული, თავიდანვე ქართული საზოგადოების დამახასიათებელ სპეციფიკად იქცა და ძირითადად ამან განაპირობა კერძო საკუთრების ინსტიტუტის უფრო მაღალი დონე ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ჩვენს მეზობლებთან.

ფეოდალური ხანის საქართველოსა და სომხეთში სოციალური დიფერენციაციის ამგვარი თვისობრივი სხვაობა ყველაზე ნათლად და მკაფიოდ ვლინდება კლასობრივი დაპირისპირების ხასიათში.

როგორც ცნობილია, საქართველოში უმთავრესად კლასობრივი ბრძოლის იშვიათი და პასიური ფორმებია დამოწმებული, რის მიზეზადაც მწარმოებელი საზოგადოების განვითარებული დიფერენციაცია, გლეხთა აკატეგორიების სიმრავლეა დასახელებული. ეკონომიურად და უფლებრივად განსხვავებული გლეხთა ფენები სხვადასხვანაირი ფორმებით იყვნენ ვალდებულნი ფეოდალთა წინაშე, რაც თავის მხრივ აფერხებდა საქართველოში კლასობრივი დაპირისპირების განვითარებას.

ჩვენგან განსხვავებით, კლასობრივ ბრძოლას სომხეთში ფართო, მასიური ხასიათი ჰქონდა და როგორც წესი, თითქმის ყოველთვის რელიგიურ სამოსში იყო გახეული. ფეოდალური ურთიერთობების განმტკიცების დღიდან სომხეთში ფეხს იკიდებს და ძლიერდება სხვადასხვა სახის სექტანტური მოძრაობები, რომელთა კლასობრივი შინაარსი იმდენად აშკარაა, რომ ისინი მხოლოდ სახელწოდებებით თუ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ამასთან, ამ გამოსვლების პერმანენტული ხასიათი კლასობრივ დაპირისპირებებს სომხეთში განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებს.

აღმოსავლეთში გლეხთა აჯანყებას მასიურ ხასიათს ანიჭებდა გლეხთა ერთიანი კატეგორიის არსებობა “რაიათის” სახით. თვით ეს არაბული სიტყვა სიტყვასიტყვით ჯოგს ნიშნავს, ზედმიწევნით გამოხატავს მათ სოციალურ ერთსახოვნებას. საქართველოსაგან განსხვავებით ფეოდალური სომხეთის ძირითადი მწარმოებელი საზოგადოება შედარებით განუვითარებელი დიფერენციაციით, უფრო ახლო დგას აღმოსავლური ტიპის ანალოგიურ საზოგადოებასთან [5, 63].

ამდენად, განსხვავებულმა სამეურნეო პირობებმა, საქართველოსა და სომხეთში ფეოდალური განვითარების სხვადასხვა ტემპები განსაზღვრეს.

საქართველოში სწრაფად დაიშალა და საბოლოოდ გაქრა (ბარში) თემი, რამაც ფართო გზა გაუხსნა ადრევე განვითარებულ კერძო საკუთრების ინსტიტუტს. ქართველი ფეოდალი საბოლოოდ დაეუფლა როგორც მიწას, ასევე მწარმოებელს. ამით ქართული ფეოდალური ურთიერთობანი დიდ მსგავსებას ავლენენ დასავლურ ფეოდალიზმთან.

სომხეთში თემმა თავისი დიდი ეკონომიური მნიშვნელობის გამო ცნობილი სიმტკიცე და გამძლეობა შეინარჩუნა, რამაც ერთგვარად შეზღუდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფართოდ გავრცელება და მისი თავისუფალი ფუნქციონირება. ყოველივე ეს ფეოდალურ ურთიერთობებს სომხეთში ერთგვარ აღმოსავლურ ელფერს აძლევდა და ხელს უშლიდა ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებას, ფეოდალური ინსტიტუტების განვითარების დასრულებას.

XIII-XIVსს (ისევე როგორც XIIს) ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიაში შეიძლება ითქვას განსაკუთრებული მნიშვნელობის ეტაპი იყო. ამ პერიოდში განვითარებულმა და ჩამოყალიბებულმა ურთიერთობის ფორმებმა ერთგვარად განსაზღვრეს ამ ორ ერს შორის შემდგომი ურთიერთობები. როგორც აღნიშნავენ: პერიოდმა, როცა სომხური მიწები საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ზეგავლენა მოახდინა თანამედროვეთა ცნობიერებაზე იმდენად, რომ როცა მოგვიანო პერიოდში (XVIIIს) სომეხი ერის პოლიტიკურ წრეებში განიხილებოდა სომხური მიწების გათავისუფლებისა და სომხური სახელმწიფოს აღდგენის საკითხი, ეს უკანასკნელი მხოლოდ გაერთიანებული ქართულ-სომხური სახელმწიფოს ფარგლებში მოიაზრებოდა [5, 79].

არახელსაყრელი საგარეო ვითარების მიუხედავად, ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ XIს-ის მიწურულსა და XIIს-ის შუა ხანებისათვის წარმატებით გადაჭრა პირველი რიგის ამოცანა – შინაგანად გაერთიანდა და ერთიანი ქართული სამეფო შექმნა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი გახლდათ კავკასიური მასშტაბის უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად. სომხეთისაგან განსხვავებით საქართველომ გაუძლო ბიზანტიის შემოტევას, თურქობასთან ბრძოლაში კი, არა მარტო შეინარჩუნა სახელმწიფო ორგანიზაცია და სტრუქტურა, არამედ ისიც კი შესძლო, რომ ზოგადად კავკასიის განმათავისუფლებლის სადავეებიც ხელთ ეპყრო. თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის აუცილებლობამ კიდევ უფრო აშკარა გახადა კავკასიაში მრავალეროვანი ერთიანი სახელმწიფოს შექმნის საჭიროება და დააჩქარა მისი პრაქტიკული განხორციელება. ამიერკავკასიიდან თურქთა განდევნის შემდეგ ტერიტორიები, სადაც ქრისტიანული მოსახლეობა სჭარბობდა, უშუალოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ. მათ შორის სომხური მიწების გათავისუფლება და მათი საქართველოს მონარქიის გამგეობაში გადასვლა XIIIს-ის დასაწყისისათვის დასრულდა.

მაშასადამე, საკმარისი აღმოჩნდა მკვეთრად გაუარესებულიყო საგარეო და საშინაო პირობები, რომ ერთბაშად გამოჩნდა ქართული ფეოდალური სისტემის უპირატესობა, მისი მეტი გამძლეობა, მეტი სიცოცხლისუნარიანობა. სომხეთი XIIს-ის პირელი ნახევრის ბოლოდან საბოლოოდ გამოეთიშა რა დიდ ბრძოლას, ამიერკავკასიამ თანდათანობით “საქართველოდ” იწყო გაერთიანება.

ამ დიდი კულტურულ პროცესში (ე. ი. ქართული, სომხური და კავკასიის სხვა ხალხთა კულტურების დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესში) მთელი რიგი ეთნიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ცნებები და ტერმინები იცვლიდნენ თავიანთ თავდაპირველ შინაარსს და უფრო მომცველი ერთეულების აღმნიშვნელნი ხდებოდნენ. მაგალითად, ამ პერიოდში სიტყვები “საქართველო” და “ქართული”

კრებით სახელებად იქცნენ და საკუთრივ ქართველობისა და ქართველობისა და მათი ქვეყნის გარდა, ახალი პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანების – კავკასიური ფეოდალური სამყაროსა და მისი შვილების აღმნიშვნელნი გახდნენ. “ისტორიანი და აზმანის” ავტორის წარმოდგენით ეს სამყარო “ნიკოფსიით დარუბანდამდე” ვრცელდებოდა, სადაც “სპანი საქართველოსი იკრიბებიან.” ასევე ვრცელ ქვეყნად წარმოდგენენ “საქართველოს” იმ პერიოდის ავტორებიც. ანალიზებს რა ამ ავტორთა A მონაცემებს, ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ საქართველო ამ ავტორთა A წარმოდგენებით მრავალეროვანი ქვეყანაა, მაგრამ ის მაინც ერთიანი ქვეყანაა, საქართველოა, სადაც ქართველთა ნათესავი არის განმსაზღვრელი ძალა [4, 295].

აქედან გამომდინარე პლიტიკურად მთლიანად საქართველოზე დამოკიდებული სომხობა სარწმუნოებრივ სხვაობაში ემეხდა თავისი ეროვნული სახის შენარჩუნებას, რის გამოც სარწმუნოებრივი თავისთავადობის უგულვებელმყოფელი პოლიტიკა მათი მხრიდან დიდი წინააღმდეგობას აწყდებოდა. სტეფანოზ ორბელიანის გადმოცემით, იმ ხანად სომხური ნაციონალური ეკლესიის კრებებზე საჯაროდ წყევლიდნენ “ქართველებისა და ბერძნების” ყველა თანამოაზრეს. ეროვნული სარწმუნოების დასაცავად სომხურ საეკლესიო წრეებში იქმნებოდა თეორიული ხასიათის თხზულებები, რომლებშიც მოცემულია სომხური აღსარების ჭეშმარიტებისა და ქართველებთან ეკლესიური გაერთიანების შეუძლებლობის დასაბუთების ცდები.

მართალია, სომხების “გაქართველება” არც თუ ისე იოლი იყო, რადგან დიდი ისტორიისა და მაღალი კულტურის მქონე სომხებს, ამ დროისათვის, თავისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახე მკვეთრად ჰქონდათ გამოხატული, მაგრამ გატარებული ეროვნული პოლიტიკა, ჩანს ზოგადად მაინც იძლეოდა სახელმწიფოსათვის სასურველ შედეგებს. ქართველი მემკვიდრის ცნობით, თბილისის ერთ-ერთი ცნობილი საეკლესიო პაეჭრობის შემდეგ “მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად.” ამის შემდგომ კიდევ უფრო მტკიცდება ქალკედონიზმის პოზიციები თვით სომხეთის სიღრმეში.

ამრიგად, ქართული ქრისტიანობა და საერთოდ ქართული ფეოდალური კულტურა კავკასიის ქრისტიანულ სახელმწიფოებში მცხოვრები ხალხების გაერთიანების ეფექტური იდეოლოგიური საშუალება იყო, რომლის წარმატებაც გაპირობებული იყო ამიერკავკასიის ფეოდალთა საერთო ინტერესებითა და განვითარების თავისებურებებით კავკასიაში.

ამ კეთილისმყოფელ სიტუაციაში, როცა საქართველოს შემადგენლობაში შემოსული სომხეთი სოციალ-ეკონომიურად და კულტურულად შეუფერხებლად ვითარდებოდა, სომხური მასახლეობა სავსებით კანონიერად ქართულ ფეოდალურ მონარქიას საკუთარ სახელმწიფოებრიობადაც აღიქვამდა, აღიარებდა რა ამით მასთან კულტურულ-პოლიტიკურ ერთიანობას. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, “საკითხის იდეოლოგიური და თვით ფსიქოლოგიური მხარეც იმაში გამოიხატება, რომ სომხური მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას მთელი მისი მმართველობის აპარატით აღიქვამდა როგორც მშობლიურ სახელმწიფოებრიობას [6, 47].

მაშასადამე, ამიერკავკასიაში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ თავისი აპოგეა ქართული მონარქიის ჩამოყალიბებაში ჰპოვა, რითაც განსაკუთრებით ამიერკავკასიის ქრისტიანი ერების შემდგომი დაწინაურება ამ სახელმწიფოს მომავალს დაუკავშირა. ამდენად სრულიად ბუნებრივია ის დიდი შთაბეჭდილება, რაც კულტურულ-პოლიტიკური ერთობის ამ ხანას უნდა მოეხდინა თანამედროვე და შემდგომი თაობების სომეხთა გონებასა და შეგნებაზე. სწორედ ეს მოპოვებული ერთობა

იყო ის მძლავრი ფაქტორი, რომელიც ზოგადად განსაზღვრავდა ქართველი და სომეხი ერების ურთიერთობის ხასიათს ფეოდალური ეპოქის მთელ სიგრძეზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოვლენის ფორმები ხშირად იცვლებოდა საგარეო პოლიტიკური თუ საშინაო ვითარების ცვლილებათა კვალობაზე.

XIII ს-ის 20-იანი წლებისათვის კავკასიის მოსახლეობას გამოცდის ჟამი დაუდგა. მონღოლთა დაზვერვითი დარტყმები პირველ ავისმომასწავებელ ნიშნად მოევლინა გამარჯვებებით გაღაღებულ ქვეყანას. მნელბედობის ჟამს სრულად გამოვლინდა განვითარებული ფეოდალური ქვეყნის საბედისწერო ბუნება. მომდგარი საბრთხის წინაშე ფეოდალთა კერძო ინტერესებმა გადასწონა სახელმწიფოებრივ ინტერესებს და ქვეყნის თავდაცვითი ძალების გაერთიანების ნაცვლად საქართველოს დიდებულები ცალ-ცალკე დანებდნენ საკუთარი საგამგეო ქვეყნების შენარჩუნების მიზნით.

მიუხედავად მნელბედობისა, კავკასიის სომხური მიწები ამ პერიოდშიც საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ბუნებრივია, რომ ქართველი მეფეები ისევ იწოდებოდნენ სომეთა მეფეებად და რეალურადაც მეფობდნენ, გასცემდნენ რა წყალობად “ქვეყნებს” და სახელოებს ამ მხარეშიც. საამისო ცნობები საკმაოდ მრავლად მოიპოვება როგორც სომეხ და ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში, ისე სომხეთის ლაპიდარულ ძეგლებში. საგულისხმოა ისიც, რომ არა მხოლოდ მთელი XIII ს-ის განმავლობაში, არამედ XIV საუკუნეშიც საკულტო და სხვა ოფიციალურ ძეგლებზე სომხეთში კვლავაც კეთდება ქართული წარწერები, რაც საქართველოსთან პოლიტიკური და კულტურული ერთობის კიდევ ერთ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. საისტორიო წყაროების მიხედვით XIV ს-ის I ნახევარში და ბაგრატ V მეფობის დროსაც, თემურ-ლენგის შემოსევებამდე ანისი და კარიც ისევ ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა.

დამახასიათებელია, რომ მონღოლი ხელმწიფეების გამთიშველი პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს სომხურ მხარეთა დიდებულები იმ ხანად ისევ ქართული სამეფო კარისაკენ ისწრაფვოდნენ და ქართულ ფეოდალურ ურთიერთობას საბოლოოდ ვერ ეთიშებოდნენ. ამდენად კავკასიის სომხეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება მონღოლთა ბატონობის მძიმე ხანებშიც ისევ ქართულ სახელმწიფოსთან იყო უშუალოდ დაკავშირებული და ამ მხრივ უცხო ძალას რაიმე არსებითი ცვლილებები არ მოუხდენია.

მონღოლთა შემოსევებმა და განუკითხავმა თარეშმა დიდად დააზიანეს განვითარებული აგრიკულტურის ქვეყნის ეკონომიკა. განსაკუთრებით დაზარალდნენ საქართველოს სომხური თემები, სადაც მომთაბარეთაA წარმოების წესისათვის უფრო ხელსაყრელი გარემო იყო. ამიტომაც იორ-ალაზნისა და მტკვრის ნოყიერი ველები თათართა ურდოების სათარეშო გახდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ფართობი დაიკავეს მონღოლებმა სომხეთში. ქართული ფეოდალური მეურნეობა ამ პირობებშიც უფრო გამძლე აღმოჩნდა, რის გამოც საარსებო სივრცეს მოკლებულმა სომეხმა მოსახლეობამ საქართველოს ცენტრალურ მხარეებს მოაშურა.

მსგავსი სურათი გაგრძელდა თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდშიც. სომხეთში, სადაც ჯერ კიდევ მონღოლთა ბატონობის დროიდან მიწათმოქმედი მოსახლეობა მომთაბარეებს ისედაც ძლიერ შევიწროებული ჰყავდათ, ახლადმოვლენილ დამპყრობთა ძალადობის შედეგად ადგილობრივ მიწისმფლობელთაAფენა აქ უმთავრესად მომთაბარეთა არისტოკრატიაშეცვალა. ქვეყნისათვის ისეთ შიდა მხარეშიც კი, როგორც ლორე იყო, ქართველი აზნაურობა იძულებული გახდა მიწისმფლობელობა თურქმანებისათვის დაეთმო და მამაკაპეულ სამკვიდრებელს

გასცლოდა. რიცხვმცირე და მამულდამცრობილ სომხეთის ფეოდალებს ამიერიდან აღარ ძალუძდათ ქართული ლაშქრის შევსება და მტრისაგან “საქრისტიანოს” ერთობლივად დაცვა. ნიშანდობლივია, რომ “ქართულ-სომხური” ანდა “სომხური” ჯარის ცნებები, რაც არცთუ იშვიათად გვხვდებოდა XII-XIII სს სომეხ ისტორიკოსებთან, ფაქტიურად ქრება შემდგომი პერიოდის ავტორთა თხზულებებში.

მაშასადამე, XIII-XIV სს ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ხასიათი განსაზღვრული იყო საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებით, რომელიც თანაბრად პასუხობდა ორივე ერის მისწრაფებას დაეცვა საერთოკავკასიური ფეოდალური სამყაროს არსებობა, მისთვის დამახასიათებელი პროგრესული სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური წყობით, რაც წინა თაობათა ხანგრძლივი შრომა-გარჯისა და ბრძოლის შედეგად იქნა მიღწეული. მომთაბარეთა შემოსევებმა და გაბატონებამ არათუ შეარყია და მოშალა ქართველი და სომეხი ერების ერთობა, არამედ კიდევ უფრო აშკარა გახადა ამგვარი ურთიერთობების აუცილებლობა. ერთიანობის შეგნების გაძლიერებასთან ერთად თანდათან ცხრებოდა კონფესიალური წინააღმდეგობანიც.

შემდგომში, განსაკუთრებით XV ს-დან მახლობელ აღმოსავლეთსა და სომხეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ძალზე დიდი ზიანი მიაყენეს სომხურ ეროვნულ ორგანიზმს როგორც ფიზიკურად, ასევე შინაგანი განვითარების კუთხით. არარატის ველსა და არაქსის მიმდგომი მხარეები თითქმის სრულიად დაცარიელდა, აყრილი მოსახლეობის ადგილი უცხო ეთნიკურმა მასებმა დაიკავეს. XIV-XV სს დაწყებული სომეხთა მასიური მიგრაცია, რაღა თქმა უნდა, მათი ეროვნული განვითარების საზიანოდ მოქმედებდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ XVIII ს-ის ბოლოსათვის აღმოსავლეთ სომხეთში სომხური მოსახლეობა მხოლოდ 20%-ს თუღა შეადგენდა.

მთელს მსოფლიოში გაფანტულ სხვადასხვა სომხურ კოლონიებში, ბუნებრივია, ცხოვრებისა და განვითარების სხვადასხვა პირობები სუფევდა, რაც შესაბამისად მოქმედებდა იქ მცხოვრებ სომეხთა ნაციონალურ თვითშეგნებაზე. ამ სიტუაციაში დარღვეული იყო ტერიტორიისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობა, ურომლისოდაც იქ მცხოვრებ სომეხებში ეთნიკური ნიშნების შენარჩუნებასა და განვითარებას დიდი საბრთხე ექმნებოდა. როგორც აღნიშნულია, პოლანდიის, პოლონეთის და იტალიის ზღვისპირა ქალაქების სომხური კოლონიები დროთა განმავლობაში მთლიანად გაითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, რის გამოც ისინი საერთო სომხურ ცხოვრებაში არავითარ როლს აღარ ასრულებდნენ. ასეთი შედეგების მიზეზად მიჩნეულია აღნიშნულ ქვეყნებში სომეხთა ამომართ პოლიტიკური ჩაგვრის არსებობა, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც უხეში ასიმილაციური პოლიტიკა ტარდებოდა, სომეხებს თავდაცვის ინსტიქტი აიძულებდათ თავისთავადობის შენარჩუნებას. სამშოლოს მოწყვეტილ სომეხთა ეს თავისთავადობაც ერთობ პირობითი იყო, რადგან ადრე თუ გვიან უცხო სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ გარემოში ამ თავისთავადობის დაკარგვა თითქმის გარდაუვალი იყო. ნ. მარის აზრით, საერთოდ ისტორიულად განვითარებული სომეხთა მიდრეკილება ვაჭრობისადმი პირდაპირპროპორციული იყო მათი დენაციონალიზაციისა. ამ შემთხვევაში ნ. მარი გულისხმობდა სომეხ ვაჭართა შრომისა და ცხოვრების სპეციფიკურ პირობებს, რომლებიც მათ აიძულებდნენ არა მარტო შეჰყუებოდნენ უცხო გარემოს, არამედ ეკონომიკური სარგებლიანობისათვის ხშირად ეროვნული ინტერესებიც დაეთმოთ. [5, 289].

ეროვნული შეგნება სომხურ კოლონიებში შედარებით გვიან გაღვივდა, რაც ევროპული კაპიტალის ძლიერმა კონკურენციამ და აღმოსავლური დესპოტიების გამაჩანაგებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სავაჭრო სომხური წრეები აიძულა საკუთარი დასაყრდენი ბაზის შექმნაზე ეზრუნა. ნიშანდობლივია, რომ მოგვიანო პერიოდის სომხურმა საზოგადოებრიობამ თავისი საკუთარი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა საქართველოსა და ქართულ სახელმწიფოებრიობას დაუკავშირა. ამის მიზეზები იმაში კი არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ, რომ საქართველო სომხობისათვის კულტურულად მახლობელი ქვეყანა იყო საერთო პოლიტიკურ მიზნებთან ერთად, არამედ ისიც რომ გადარჩენილი დამოუკიდებლობის მებრძოლი ქართული სახელმწიფო სომეხი კაცის წარმოდგენაში ძველის აღდგენისა და ახლის შექმნის ძლიერ იმპულსსაც შეიცავდა. ამდენად საქართველოში მოსული სომეხი უცხოობას არ განიცდიდა და თავი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ამ ქვეყნის მშენებლად მიაჩნდა. არც ქართული სახელმწიფოებრიობა ზღუდავდა რაიმეთი სომეხთა მისწრაფებას.

ასეთი კეთილისმყოფელი გარემო სომხური ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენას საქართველოში ცხოვრების თავისი შესაფერი პირობები ჰქონდა. კონფესიური წინააღმდეგობანიც, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შერბილებული იყო. XIV-XV სს-ის წყაროებში ფაქტიურად აღარ ვხვდებით რელიგიური ხასათის დაპირისპირებების ამსახველ მონაცემებს.

ამ პერიოდში თურქმანებთან ბრძოლაში გართულ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან თანდათანობით ძალზე საშიში მტერი – თურქ-ოსმალთა სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო უმეზობლდება. მისი შეჩერებისა და ნეიტრალიზების პრობლემა უკვე XV ს-შივე არა მარტო ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა მაჰმადიანური ქვეყნების წინაშე დადგა მთელი სერიოზულობით, არამედ ამ ახალი ძალის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპის დიპლომატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა ამ პერიოდისათვის.

XVII ს-ის დამდეგიდან ირანსა და ოსმალეთს შორის იწყება ხანგრძლივი ბრძოლა მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის. დასახული ამოცანა მოქიშპე მხარეებისაგან მოითხოვდა უპირველესად ამიერკავკასიის დაპყრობას, უფრო მეტად ამ მხარეში გამავალი სავაჭრო-სატრანსპორტო გზების ხელში ჩაგდებას და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაუფლებას. აქედან მოყოლებული XVII ს-ის 30-იანი წლების ბოლომდე მცირე გამოწკლისების გარდა, ამ დიდ დამპყრობლებს ამიერკავკასიაში ცეცხლის ალი არ გაუწელებიათ. ორივე მხრიდან ომი შეუზრალელებელი სისასტიკით წარმოებდა.

მტრების დაუსჯელი თარეშის აღკვეთა მხოლოდ და მხოლოდ კავკასიის ხალხთა ძალების გაერთიანებით იყო შესაძლებელი. ეს უზრალო ჭეშმარიტება კარგად ესმოდათ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, სადაც XII ს-დან მოყოლებული ეს დიდი პოლიტიკური იდეა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ამჯერად ამ იდეის განხორციელებისათვის ყველაზე არახელსაყრელი ვითარება სუფევდა. მეზობელ სომხეთში კარგა ხანია ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული ადგილობრივი პოლიტიკური ძალა აღარ არსებობდა. შინაომებით დასუსტებული აღმოსავლელი მეზობლები – შაჰი და შირვანიც ირანის რიგით პროვინციებად იქცნენ. საკუთრივ საქართველო კი პოლიტიკურად დაშლილი, ასევე შინაომებს მოეცვა. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, ნათელია რომ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლით უნდა დაწყებულიყო, რაც საბოლოოდ ოდინდელ

ერთიანობას ე. ი. ამიერკავკასიის გაერთიანებასაც გულისხმობდა. ამდენად ქართველთა თავდაუზოგავ ბრძოლას არა მარტო თანაუგრძობდნენ, არამედ აქტიურადაც უჭერდნენ მხარს კავკასიის სხვა ერებიც. ამ დიდ ბრძოლას სათავეში ედგა ქართლის სამეფო, რომელიც არ აღიარებდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლის ფაქტს [7, 85].

XVI-XVIII სს. მიჯნაზე მახლობელ აღმოსავლეთში ძალთა თანაფარდობა ირანის სასარგებლოდ შეიცვალა. თუმცა ახლა უკვე ამიერკავკასიის ასპარეზზე მხოლოდ ირან-ოსმალეთი კი არ ექიმპეობდა ერთიმეორეს, არამედ მესამე დიდი ძალაც რუსეთის სახით ჩართულიყო საერთო ბრძოლაში. იგი საჯაროდ აცხადებდა ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა A და სამეფო-სამთავროთა “მფარველობის” უფლებას.

ამ პერიოდში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში ნათლად გამოიკვეთა ქართულ-სომხურ პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათიც. ქართლის მეფე თეიმურაზ I-მა ფაქტობრივად ქართული ფეოდალური მონარქიის სახელმწიფო საზღვრები შემოხაზა და ამიერკავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონობის პრეტენზია განაცხადა. სომხეთის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე პატივდებულმა კათალიკოსმა მოვსესმა თავად შესთავაზა თეიმურაზ I საქართველოსა და სომხეთის მეფედ კურთხევა და განუცხადა, რომ სომეხი წარჩინებულნი მოსურნენი არიან თეიმურაზის მეფობისა.

საქართველოს სინამდვილე მხოლოდ სამეფო-სამთავროთა კავშირის შესაძლებლობას იძლეოდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სომეხთა კათალიკოსის ეს ცალკეული პოლიტიკური ერთეულები მაინც ერთ მთლიან ქვეყანა – “საქრისტიანოს” შეადგენს, რომელიც მაჰმადიანურ სამყაროს მკვეთრად უპირისპირდება. ამიტომ საქრისტიანოს აღდგენისათვის ბრძოლა იმავე დროს სომეხი არისტოკრატის წარმოსახვაში სომხეთის გამოხსნისა და აღდგენისათვის ბრძოლას ნიშნავდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამიერკავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონობის დამყარებას და ქრისტიან ხალხთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას ქართველი ხელისუფალნი სომხურ პოლიტიკურ წრეებთან შეთანხმებით აპირებდნენ.

მამასადამე, XV-XVIII სს-ში ქართველთა და სომეხთა ურთიერთობაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენდნენ უაღრესად რთული საგარეო პირობები, რომელთაც საბოლოოდ დაარღვიეს წინა საუკუნეებში მოპოვებული კულტურულ-პოლიტიკური ერთობა და განსხვავებული გზებით წარმართეს მათი მომავალი. უცხოელთა გარემოცვაში მოქცეული მოძმე ერების ამოცანად იქცა ოდინდელი ვითარების – “კავკასიაში საქრისტიანო ქვეყნის რესტავრაცია.” ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქართული სახელმწიფოს მოთავეობა ძირითადად განსაზღვრავდა ქართველი და სომეხი ერების ურთიერთობების ხასიათს მოცემული პერიოდისათვის, რის მიხედვითაც “გადარჩენილ საქართველოს” სომეხთა დიდი ნაწილი თავის ქომაგად და თავშესაფრად მიიჩნევდა. ამიტომაც იყო, რომ სომეხი არისტოკრატია და საერთოდ ერის უმრავლესობა მხარში ედგა ქართულ სახელმწიფოებრიობას და ერთგულად თანამშრომლობდა მასთან [5, 162].

XVIII ს.-ის მეორე ნახევარში ამიერკავკასიის სამეურნეო აღმავლობამ განაპირობა მეზობელ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაც. ამ პერიოდისათვის ქართველი და სომეხი ერების ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმად უნდა ჩაითვალოს სომხური მოსახლეობის საქართველოში მოზიდვა და ქართული სახელმწიფოს სამეურნეო ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩაბმა.

უცხო ქვეყნებიდან მოსახლეობს მოზიდვას უპირველესად ეკონომიკური მოტივები განსაზღვრავდნენ და სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას

ისახავდნენ მიზნად. სომხური წყაროები კმაყოფილების გრძნობითა და მადლიერებით მოიხსენიებენ ქართველ მეფეებს სომხური მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების შექმნისათვის. აღნიშნული პირობების შექმნა უფრო მეტად საქართველოში როსტომის მეფობის ხანას უკავშირდება, როცა იწყება შედარებით ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდი, რამაც მუხრანელ ბაგრატიონთა შთამომავალ მეფეებს საშუალება მისცა ქვეყანაში ფართო აღმშენებლობითი ღონისძიებების გატარებისა.

სომხური მოსახლეობა საქართველოში არა მარტო თავისი ნება-სურვილით მოდიოდა, არამედ ზოგჯერ საამისოდ ქართველ ხელისუფალთ საგანგებო ღონისძიებათა გატარებაც უხდებოდათ, მაგ.: 1779 წელს ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე მეორემ რვა სოფლის მოსახლეობა აპყარა და საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ჩაასახლა. ერეკლეს ეს ღონისძიება სწორედ ეკონომიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი.

ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მაინც გადმოსახლებულ სომეხთა ვაჭრობაში დასაქმება იყო. ალბათ ამის მასტიმულირებელი ის გარემოება იყო, რომ გადმოსახლებული პირი ამ სიტუაციაში არ მოითხოვდა სამეურნეო საფუძველს – მამულ-სამკვიდრეებსა და საკუთარი მატერიალური უზრუნველყოფის საფუძველს აღებ-მიცემობით ქმნიდა, რითაც იგი თავს არიდებდა სოციალურ კონფლიქტს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ამ პერიოდისათვის ქართველ-სომეხთა ეკონომიკური ურთიერთობის თავისებურ ფორმად გვევლინება ეჯმიაწინის მსხვილი მიწათმფლობელობითი ორგანიზაციის გარკვეული კავშირი ქართულ ფეოდალურ მფლობელობასთან და ქართული ქალაქების ვაჭრობა-წარმოებასთან. ქართულ ხელისუფლებასთან ეჯმიაწინის ურთიერთობისას ერთმანეთს უკავშირდებოდა ურთიერთგანმსაზღვრელი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, რაც თავისთავად დადებით როლს ასრულებდა ამ ორი ერის კეთილმეზობლობის საქმეში.

XVII-XVIII სს. ქართველთა და სომეხთა ეკონომიკური ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ფორმა, ალბათ მაინც ვაჭრობა იყო, რომლის ხელშემწყობი პირობებიც უკვე XVIII ს.-იდან იქმნება ჯერ კახეთში, შემდეგ კი XVIII ს.-ის 30-იანი წლებიდან ქართლის სამეფოში. ხელოსნობის წარმოების უმსხვილეს ცენტრს საქართველოში დედაქალაქი – თბილისი წარმოადგენდა, სადაც იმ დროისათვის ხელოსნური წარმოების თითქმის ყველა დარგი იყო წარმოდგენილი.

საქართველოსა და სომხეთის ქალაქების დამაკავშირებელი რამდენიმე სავაჭრო-სატრანზიტო გზა ფუნქციონირებდა. მათგან აღსანიშნავია სავაჭრო მარშრუტები: 1. შემახა-არაში-განჯა-თბილისი-ერევანი და ბაქო-ნუხა-კახეთი-თბილისი-ერევანი. ეს გზები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მსხვილ სახელოსნო-სავაჭრო ცენტრებს და შემდეგ უკავშირდებოდნენ ირანისა და თურქეთის სავაჭრო მაგისტრალებს, თავს იყრიდნენ თბილისში. ამდენად ქართლის დედაქალაქი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სატრანზიტო პუნქტს, რომლის მეშვეობითაც წარმოებდა გაცხოველებული ვაჭრობა კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქალაქებს შორის. მოქმედებდა აგრეთვე თბილის-ერევნის უშუალოდ დამაკავშირებელი გზაც, რომელსაც სომხური წყაროები “ქართულ გზას” უწოდებენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სომხეთთან ვაჭრობაში საქართველო პასიური არ ყოფილა. გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთკავშირში ქართულ საქონელს მნიშვნელოვანი წონა გააჩნდა, რომლის ექსპორტირებაც თბილისიდან სისტემატურად წარმოებდა.

სომეხი ვაჭრები განსაკუთრებით არეზის და ისპაჰანის სავაჭრო კომპანიების წარმომადგენლები დიპლომატიურ სამსახურსაც უწევდნენ ქართველ მეფეებს, ეხმარებოდნენ მათ სხვადასხვა ქვეყნების მონარქებთან და მსხვილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან კავშირების დამყარებაში. ამ დავალებათა შესრულებისას სომეხ ვაჭართა ეს ნაწილი საქართველოს შესაძლებელ გაძლიერებას თავის სამშობლოს მომავალსაც უკავშირებდა. სწორედ ამ ვაჭართა წრეში ჩაისახა და თავისი სრულყოფა ჰპოვა ქართველ-სომეხთა ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეამ [5, 193].

XVIII-ის მეორე ნახევრიდან დაწყებული ვაჭართა სოციალური ფენა, მიუხედავად არასტაბილური საშინაო და საგარეო პირობებისა, მაინც ზრდა-განვითარებას განიცდის. ქართულ წყაროებში ეთნიკური ტერმინი “სომეხი” ხშირად გაიგივებულია სოციალურ “ვაჭართან”. მაგალითად, როგორც დავით ბატონიშვილი განმარტავს, “სომეხები შეადგენენ ფენას და კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულინი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასე საქართველოს გარეთ... მათი ერი საქართველოში მიჩნეულია მხოლოდ ვაჭრებად.” მსგავს ცნობებს გადმოგვცემენ უცხოელი მოგზაურებსაც. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით: “აქაური (ქართველი) თავადაზნაურები ხელოსნობას და ვაჭრობას არ კადრულობენ... ამისთანა საქმეების აღსრულებას უტოვებენ უცხოელებს, სომეხებს, ურიებს, რომლებიც მათ ქვეყანაში ბლომად არიან.” თუმცა სომხური ეთნიკური ტერმინით მთელი სოციალური ფენის აღნიშვნა ვაჭრობაში ელემენტის უპირატესობას უნდა აღნიშნავდეს და არა იმას რომ ამ ეთნოსს სრული მონოპოლია ჰქონდა მოპოვებულ სფეროში. სომხური ეთნოსის (და არა მარტო სომხურისა, საერთოდ არაქართველთა) პრივილეგირებულ მდგომარეობას ეკონომიკის არატრადიციულ დარგებში (ვაჭრობა, მევახშეობა...) უპირატესად სწორედ ის განაპირობებდა, რომ ქართველი ერის ძირითადი წარმმართველი ძალა იყო საკუთარი სახელმწიფოებრიობისა და შესაბამისად იყო ძირითადი მესაკუთრე საკუთარი სამკვიდრებლისა. ქართველი მეურნე იყო ძირითადი მწარმოებელი ეროვნული შემოსავლისა და შესაბამისად პატრონი საკუთარი მიწა-წყლისა. უცხო ეთნიკური ელემენტები (ძირითადად სომეხები) კი რომლებიც მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა აღმოჩნდნენ ქართველი ერის სამკვიდრებელზე პირველ რიგში ქართული ტოლერანტული ბუნების გამო, რა თქმა უნდა, ვერ განაცხადებდნენ პრეტენზიას საქართველოს მკვიდრობაზე და ტრადიციული მეურნეობის ფორმებში თავს ვერ გაუტოლებდნენ ქვეყნის ჭეშმარიტ ბატონ-პარტონ ქართველ ერს. ამიტომ ისინი ხელს ჰკიდებდნენ ისეთ დარგებს ეკონომიკისა, რომელიც ასე რომ ვთქვათ, თავისუფალი იყო და რომელზეც არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა ქართველობას, უფრო სწორად რომლებიც არ იყვნენ ქართველი ერის სამეურნეო-კულტურული ტიპის გამომხატველნი. ასეთი დარგები იყო სწორედ ვაჭრობა-მევახშეობა და ხელოსნობა, რომლებიც იმ დროს არ საჭიროებდა სამკვიდრებელს, მიწაზე კერძო საკუთრებას. ქართველის ეროვნული ხასიათის ვაჭრობისადმი დამოკიდებულების გამოძახილია დიდი ილიას სიტყვებიც – “ჩვენი ძალი და ღონე, ჩვენი ცხოვრებისა და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე – მიწა და გუთანია. ღომელ ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კი შემოუნახავს, რომ თავმოწონებით შეუძლია თქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდ და სამერმისოდაც... ვაჭრობა რასაკვირველია საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდან, საცა მეტია, იქ – საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყველგან. ხოლო ვაჭრობა, წესიერადაც განწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს

ადამიანს და ბუნებით იმისთანა რამ არის, რომ ერთ ბინაზედ არ აყენებს კაცს, საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის მისი მამული, იმის მიწაწყალი, ამიტომაც ერი, მარტო ვაჭრობად მიქცეული დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული [8, 236]. ვაჭრობის ხელოსნობის და საერთოდ ე.წ. მესამე წოდების კულტურულ შუბლს და შესაბამისად ქალაქური ცნობიერების საკითხებს ჩვენ ცალკე შევხებით, ახლა კი მხოლოდ დავსძენთ, რომ სწორედ ილიასეულ სიტყვებში ნათლად გამოსჭვივის ქართველ (მკვიდრი) ერს და მის მიწაზე შემოხიზნულ უცხო ტომს (ამ შემთხვევაში სომეხთა) შორის მომხდარი სამეურნეო-ეკონომიკური გადანაწილების სურათი.

მაშასადამე, ქართულ წყაროებში ვაჭრის სინონიმად გამოიყენებული ეთნიკური ტერმინი “სომეხი” XVII-XVIII სს. ქართულ სინამდვილეში საგრძნობლად იფართოვებს მნიშვნელობას და სოციალური შინაარსით ივსება. უფრო მეტიც, ამ დროიდან “სომეხი” უპირატესად სოციალური ტერმინია, რის გამოც ის მთელი სოციალური ფენის აღსანიშნავად გამოიყენება, რაც ზოგჯერ თითქმის ქალაქის მოსახლეობასაც მოიცავს.

“სომეხის” საპირისპირო ცნებად გვევლინება ასევე სოციალური შინაარსის ტერმინი “ქართველი”, რომელიც უმთავრესად ფეოდალური არისტოკრატის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ეთნიკური სახელი ამ სოციალურმა წრემ მიიღო მასში ქართველთა უპირეტესობის გამო და ამისდა მიხედვით განისაზღვრა მისთვის დამახასიათებელი კონფესიალური კუთვნილებაც (ქართული მართლმადიდებლობა) [5, 306].

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო საქმიანობაში ჩაბმული არასომხური წარმომავლობის პირები, როგორც წესი სომხდებოდნენ – გრიგორიანობაზე გადადიოდნენ. ასევე იქცეოდნენ ქართველი ვაჭარ-ხელოსნებიც. ქართული ქალაქების პროფესიული გაერთიანებები, ვაჭრობაში სომეხთა უპირატესი წილის გამო მონოფიზიტურ ეკლესიას უკავშირდებოდნენ. ამიტომ ამ გაერთიანებებში შესვლა და მის საფუძველზე გარკვეული პრივილეგიების მოპოვება სომხურ სარწმუნოებაში გადასვლით იყო შესაძლებელი.

როგორც აღნიშნავენ, ეს ორივე სოციალური ჯგუფი, დანარჩენებთან ერთად ერთიან ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ქმნიდა, სადაც ქართული ეთნო-სოციალური ერთობის შემდგომი განვითარება ქვეყნის საწარმოო ძალებისა და საზოგადოებრივი დაწინაურების ხასიათის შესაფერი შეიძლება ყოფილიყო. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში საქართველოში მოსახლე სომეხთა სამწერლობო და სასაუბრო ენა ხდება ძირითადად ქართული. ამგვარი ვითარების გამოძახილი იყო ქალაქური სამენოვანი აშუღური პოეზიის ჩამოყალიბება და განვითარება, რომლის წარმომადგენლებიც (საიათნოვა, შამჩი-მელქო, გურჯი-ოღლი და სხვ.) უდიდესი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდნენ.

ეხებოდა რა საზოგადოდ საქართველოში მცხოვრებ სომეხთა სამეურნეო-კულტურულ ყოფას, ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა “აქაური სომეხის წარსული არის საქართველოს ერის წარსული და მასთან იგი მტკიცედ არის დაკავშირებული. ამ სომეხობის ქართულ ეთნო-სოციალურ ერთობაში შემდგომი შეზრდა-შეკავშირება დამოკიდებული იყო ქართულ სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე, რასაც თავად ეს სომეხობა თავისი კომერციული თუ სხვა საქმიანობით საგრძნობლად უწყობდა ხელს. მაგრამ შემდგომში შეცვლილი პირობების შესაბამისად (საქართველოს სახელმწიფოს გაუქმება და კავკასიის დამორჩილება რუსეთის მიერ), “ქართველმა სომეხებმა” – ე. ი. გაქართველებულმა სომეხებმა, როგორც ამას ნ. მარი აღნიშნავს, “მთელი თავის შენაძენით ბუნებრივი ლტოლვა იგრძნეს დიდი ხნის წინათ

მიტოვებული სამშობლოსაკენ და ქართული ეროვნული კოლექტივის მესამე წოდების მდგომარეობიდან სომხურ საზოგადოებრივ ძალად იწყეს გარდაქმნა” [5, 320].

ქართველი და სომეხი ხალხების მრავალმხრივი ურთიერთობის შედეგები, როგორც აღნიშნავენ, გარკვეულწილად აისახა მრავალსაუკუნოვან ეთნოკულტურულ პროცესებში. აღნიშნული პროცესების ხასიათი და ინტენსივობა უშუალოდ დამოკიდებული იყო მეზობელი ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებაზე, რომელსაც სპეციფიკური ადგილობრივი პირობების გარდა ორივე ერის შემოქმედებითი შრომა და მომხდურთა წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლაც განსაზღვრავდა. საქართველოში, ქართველი ერის გადარჩენილმა სახელმწიფოებრივმა ცხოვრებამ სომხობასაც მომავალი განვითარებისათვის ბრძოლის სტიმული მისცა. მოგვიანო პერიოდში (XVI-XVII) სომხური სავაჭრო კაპიტალი დადებით გავლენას ახდენდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, რასაც თან სდევდა ამ სფეროში ჩაბმული ქართველობის ერთი ძირითადი ნაწილის სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლა. მეორე მხრივ, ქვეყნის საზოგადოებრივი დაწინაურების შესაბამისად, საქართველოში მოსახლე სომხობის დიდი ნაწილი, წინაურდებოდა რა სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, ქართველდებოდა – მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე ექცეოდა და ქართული ეთნო-სოციალური ერთეულის შემადგენლობაში შედიოდა. რაღა თქმა უნდა, ამგვარი მოვლენები ხელს უწყობდა ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეთნიკური ურთიერთობების დარეგულირებას, რაც თავისთავად განაპირობებდა ქვეყნის შიდა სტაბილურობასა და სიძლიერეს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. კ.კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955.
2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1928
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1948
4. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.
5. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს. თბ., 1982.
6. С. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды, Тб., 1947.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973.
8. ი. ჭავჭავაძე, საქართველოს მატიაზე, შინაური მიმოხილვა 1882 წელი, ივლის-აგვისტო, თბილულებათა კრებული, ტ. VIII, თბ. 1929.

Paata Bukhrashvili

Towards an understanding of Georgian-Armenian relations.

Resumee

The relationship between the Georgians and the Armenians, two of the oldest civilizations of Transcaucasia, has a very long history. The leading elements in each society have long understood the importance of the other, and therefore have striven to establish contacts in all kinds of social contexts. It is worthy of note that, by the Middle Ages, Georgian historiographers had elaborated a theory of the common origin of the peoples of the Caucasus, and had devised an original

explanation for this state of affairs in the form of Leont'i Mroveli's well-known hypothesis. The literary historian K'orneli K'ek'elidze had this theory in mind when he observed that "the idea of the fraternity of Transcaucasian peoples, in particular that of Georgians and Armenians, was a progressive one, which continued to play an a highly positive role in both nations' subsequent history".

It is acknowledged that great significance is to be accorded to surrounding conditions in the development of any given society. With regard to this point, the historian Nik'o Berdzenishvili has made some noteworthy observations concerning the nature of the historical development of Georgia and Armenia. He notes that, because of favourable agricultural conditions, "just as the foundation of the Armenian nation was laid in the Ararat plain, so likewise was that of the Georgian nation laid in Kvemo Kartli, later in Mtskheta and Zena Sopeli (alongside Kvemo Kartli). Just as the Armenian society formed in the Ararat plain absorbed and Armenianized local non-Armenian tribes, so the society formed in Kartli absorbed and Kartlianized local non-Kartlian tribes."

The distinctive nature of social differentiation in feudal Georgia and Armenia appears with especial clarity in the nature of the opposition between classes. As far is known, in Georgia, for the most part, class struggle was rare and passive in nature, due to the development of differentiations in the productive class, leading to a variety of categories of peasantry. The peasant classes, characterized by different economic statuses and privileges, were bound by different sorts of obligations to their feudal overlords. This in turn impeded the development of class opposition in Georgia. In Armenia, by contrast, class struggle had a widespread and massive nature, and, as a rule, wore the mantle of religious differences. From the early days of the formation of feudal society in Armenia, there appeared different types of sectarian formations, whose class associations were evident, even though in other respects they differed in name only. This long-term phenomenon contributed to the exacerbation of the opposition between classes in Armenia. Different economic conditions also contributed to the different paces of development of Georgian and Armenian feudalism.

Despite unfavourable external developments, Georgian feudal society in the end of the 10th and first half of the 11th centuries successfully resolved one critical problem: internal unification and the formation of a united Georgian kingdom. This step had significant consequences for the whole of Caucasia. Unlike Armenia, Georgia overcame the encroachment of Byzantium, and conflict with the Turks, while not only maintaining its state organization and structure, but also taking a leading role in the struggle for the independence of the Caucasus as a whole. The necessity of consolidating the Caucasian peoples against the Seljuk Turks rendered even more evident the need for a united, multi-ethnic Caucasian kingdom, and accelerated the process of its realization. After the expulsion of the Turks from Transcaucasia, those territories with a majority Christian population were directly incorporated into the united Georgian kingdom. The liberation of Armenian lands and their placing under the protection of the Georgian monarchy was completed by the beginning of the 13th century.

The nature of the relationship between the Georgian and Armenian peoples in the 13th and 14th cc. was conditioned by common state interests, which equally satisfied both nations' desire to maintain a common-Caucasian feudal regime, along with its progressive socio-economic, political and ideological structure, which had been achieved by the long-term efforts and struggles of previous generations. Nomadic invasions and conquest disrupted the unity of the Georgians and Armenians, even as it made the necessity of such a relation more evident. The strengthening of the concept of unitedness was accompanied by a weakening of confessional opposition.

In the following period, especially from the 15th c. onward, the changing political situation in the Near East and Armenia had a disastrous impact on the Armenian polity. The Ararat plain and the regions adjoining the Araxes River were emptied of their original populations, whose places were taken by foreign ethnic groups. The massive migration of Armenians, beginning in the 14th-15th centuries, naturally had a negative effect on ethnic consolidation. It is sufficient to note that by the end of the 18th c. Armenians represented no more than 20% of the population of eastern Armenia.

In the widely-scattered Armenian diaspora colonies, of course, very different circumstances obtained, with consequent effects on the national self consciousness of the various Armenian communities. In this situation, with the disruption of territorial and economic unity, the maintenance of markers of ethnic distinctiveness among diaspora Armenians was endangered. In the course of time, Armenian colonies in Holland, Poland and the Italian coastal cities were absorbed into the local populations, and thereby no longer played a role in Armenian affairs. By contrast, in those countries marked by a harsh policy of assimilation, the instinct of self preservation of the Armenians was awakened. Among Armenians cut off from their homeland, ethnic distinctiveness was a temporary matter, since sooner or later the sense of distinct identity would be lost in foreign socio-political and cultural surroundings. In N. Marr's opinion, the Armenians' general tendency to engage in trade was directly proportional to their denationalization. Marr had in mind those specific circumstances which obliged Armenian merchants not only to adapt to foreign contexts, but also to sacrifice ethnic interests for economic ones (5, 289).

From the beginning of the 16th century, a lengthy struggle begins between Iran and the Ottoman Empire for control of the Near East. This goal required, in the first instance, hegemony over Transcaucasia, and more specifically, control of the trade and transport routes crossing that region, and occupation of strategically-important territories. From this time until the end of the 1630's, with few exceptions, conflict raged between the two great powers in Transcaucasia with merciless ferocity.

The other peoples of the Caucasus not only sympathized with ~ Georgia's relentless struggle, but also lent active support. The kingdom of Kartli, which refused to acknowledge the fact of the nation's political dissolution, played a leading role in the fight (7, 85).

At the turn of the 17th and 18th centuries, the balance of power in the Near East turned to the advantage of Iran, although by this time there were no longer two competing powers, but three. Russia had joined the struggle, openly declaring its intention to bring the Christian peoples and feudal formations of Transcaucasia under its "protection".

In the 17th and 18th centuries, the principal basis of the economic relationship between Georgians and Armenians was probably trade, favourable conditions for which existed in K'axeti from the 17th c., then from the 1630's in the kingdom of Kartli. The Georgian capital, Tbilisi, was the principal centre of craft industries, where almost all important sectors were represented. From the second half of the 17th c., the social class of merchants underwent significant growth, despite unstable internal and external conditions. In Georgian sources, the term "Armenian" (somexi) is often used as a synonym of "merchant", and in the course of the 17th and 18th centuries its use expands with this social meaning. From this time, "Armenian" becomes primarily a designation of a social class, and sometimes is used to denote the urban population as a whole. In contrast to the term "Armenian", the term "Georgian" (kartveli) is often used to designate a social class, that of the feudal aristocracy, which was largely composed of ethnic Georgians. The meaning of this term also included religious affiliation (Georgian Orthodox) (5, 306).